

შპს "ლეგომეტალის" ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

1. ძირითადი საქმიანობა და ზოგადი ინფორმაცია

შპს „ლეგომეტალის“ (შემდგომში კომპანია), სახელმწიფო რეგისტრაცია განხორციელდა 2020 წელს, მარეგისტრირებელი ორგანო სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო. მინიჭებული აქვს სარეგისტრაციო ნომერი 400290608. კომპანია წარმოადგენს კერძო სამართლის სუბიექტს და ახორციელებს ფერადი ლითონის ექპორტის ოპერაციებს

კომპანიის რეგისტრირებული იურიდიული მისამართია გლდან-ნაძალევის რაიონი, თორნიკე ერისთავის ქუჩა N 2 გ, ბინა N 17, კომპანიის ფაქტობრივი საქმიანობის მისამართია გარდაბნის რაიონი სოფ მარტყოფი.

დასაქმებულთა საშუალო რაოდენობა შეადგენს 57 ადამიანს. (2020 წელს 45).

კომპანიის ხელმძღვანელობაზე/ წარმომადგენლობაზე უფლებამოსილ პირს რეგისტრაციის ეტაპზე წარმოადგენდა დიმიტრი ფაჩუაშვილი პ/ნ 01030053409. შემდგომ პერიოდში მენეჯმენტმა განიცადა ცვლილება და 2020 წლის 31 დეკემბრის და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კი კომპანიის ხელმძღვანელობაზე/ წარმომადგენლობაზე უფლებამოსილ პირს წარმოადგენს ფრიდონ კომახიძე პ/ნ 61006041463

კომპანიის დამფუძნებლებს წარმოადგენენ :

დამფუძნებლები	რეგისტრირებული წილი	
	12/31/2021	12/31/2020
შპს "ქართული სამართლის სახლი"	-	51%
ფრიდონ კომახიძე	100%	49%

კომპანია 2021-2020 წლებში ფლობდა წილს დაკავშირებულ საწარმოში:

დაკავშირებული კომპანია	რეგისტრირებული წილი	
	12/31/2021	12/31/2020
შპს "ლ კაპიტალი"	-	49%

შპს „ლეგომეტალის“ საქმიანობის სფეროს წარმოადგენს ფერადი ლითონების ჯართის შეძენა-რეალიზაცია, ფერადი ლითონი ჯართის მიწოდება ხორციელდება არარეზიდენტ კომპანიებზე საქონლის ექპორტის გზით.

2. შედგენის საფუძველი

შპს "ლეგომეტალის" ახსნა-განმარტებითი შენიშვნები 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

2.1 განცხადება შესაბამისობის თაობაზე

კომპანიის ფინანსური ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) საფუძველზე.

კომპანიას გასულ პერიოდებში არ წარუდგენია ფინანსური ანგარიშგება, შესაბამისად წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება არის კომპანიის მიერ წარდგენილი პირველი ფინანსური ანგარიშგება

2.2 საქმიანობის უწყვეტობა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია იმის დაშვებით, რომ კომპანია წარმოადგენს მოქმედ საწარმოს და პროგნოზირებად მომავალში გააგრძელებს ფუნქციონირებას.

2.3 მომზადების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ისტორიულ ღირებულებებზე დაყრდნობით. თითოეული კატეგორიების აქტივებისა და ვალდებულებების შეფასების დეტალები განხილულია ქვემოთ მითითებულ შენიშვნებში.

2.4 საოპერაციო და საანგარიშგებო ვალუტა

საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ქართული ლარი. რომელიც ასევე წარმოადგენს კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტას.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია და წარმოდგენილია ქართულ ლარში.

უცხოურ ვალუტაში წარმოებული ოპერაციების ასახვა ბუღალტრულ ანგარიშგებაში ხორციელდება ოპერაციების განხორციელების დღეს არსებული კურსის გამოყენებით.

3. ბუღალტრული აღრიცხვის მნიშვნელოვანი პოლიტიკები

3.1 უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები

შპს "ლეგომეტალის" ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ფინანსური ანგარიშგების მომზადების მიზნებისთვის უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები გადაიყვანება ტრანზაქციის განხორციელების დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის მიხედვით. არაფულადი მუხლების გადაანგარიშება წლის ბოლო კურსით არ ხდება და ისინი ბალანსში წარდგენილია ისტორიული ღირებულებით. ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას უცხოურ ვალუტაში არსებული მუხლების გადაფასებისთვის გამოყენებული გაცვლითი კურსები შემდეგნაირია:

ვალუტა	ოფიციალური გაცვლითი კურსი	
	12/31/2021	12/31/2020
დოლარი/ლარი	3.0976	3.2766
ევრო/ლარი	3.504	4.0233

3.2 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებით, რომელსაც აკლდება დაგროვილი ცვეთისა და გაუფასურების ხარჯი, თუ ამის აუცილებლობა არსებობს.

ძირითადი საშუალების თვითღირებულება მოიცავს:

ა) მისი ნასყიდობის ფასს, საიმპორტო საბაჟო გადასახადებისა და შესყიდვის დაუბრუნებადი გადასახადების ჩათვლით, ყოველგვარი სავაჭრო ფასდათმობებისა და შეღავათების გამოკლების შემდეგ;

ბ) ნებისმიერ დანახარჯს, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანასთან და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან, რაც აუცილებელია აქტივის გამოსაყენებლად ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნებისათვის;

გ) აქტივის დემონტაჟის, ლიკვიდაციისა და ადგილმდებარეობის აღდგენის დანახარჯების თავდაპირველ შეფასებას, რის ვალდებულებასაც საწარმო იღებს შეძენის მომენტში ან, შემდეგში, როდესაც გარკვეული დროის განმავლობაში საწარმო აქტივს იყენებს სხვა საქმიანობისათვის, გარდა მარაგის წარმოებისა.

ძირითადი საშუალებები(გაგრძელება)

ზარალი, რომელიც წარმოშობილია ძირითადი საშუალების ჩამოწერიდან აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

შპს "ლეგომეტალის" ახსნა-განმარტებითი შენიშვნები 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

დანახარჯები კაპიტალიზდება იმ შემთხვევაში, თუ შესაძლებელია ეკონომიკური სარგებლის მიღება მომავალში, ყველა სხვა ხარჯი, მათ შორის შეკეთება აღიარდება ხარჯებში, მოგება-ზარალის ანგარიშგებაში მისი მოხდენისთანავე.

ცვეთა ერიცხება წრფივი მეთოდით და ცვეთის ხარჯი აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში თითოეული აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის შეფასების საფუძველზე. ცვეთის დარიცხვა იწყება მას შემდეგ, რაც შესაძლებელია აქტივის გამოყენება. ძირითადი საშუალებების ცვეთის აღსარიცხად განსაზღვრული დროითი პერიოდი წარმოდგენილია შემდეგნაირად.:

- სატრანსპორტო საშუალებები 5- 15 წელი
- ოფისის აღჭურვილობა, ავეჯი და სპეციალური ინვენტარი 2-25 წელი
- ინფრასტრუქტურა 3-20 წელი

კომპანიას ბალანსზე აქვს მიწა და პროგრესული ხასიათის დაუმთავრებელი მშენებლობა. აქტივის ნარჩენი ღირებულება წარმოადგენს შეფასებით თანხას, რომელსაც კომპანია ამჟამად მიიღებდა აქტივის გაყიდვიდან, (გაყიდვისათვის საჭირო დანახარჯების გამოკლებით), თუ აქტივს უკვე ექნებოდა მისი სასარგებლო მომსახურების ვადის ბოლოს მოსალოდნელი ასაკი და მდგომარეობა. აქტივის ნარჩენი ღირებულება ნულია, თუ კომპანია აპირებს მის გამოყენებას აქტივის მთელი ფიზიკური ვადის განმავლობაში. აქტივების ნარჩენი ღირებულება და სასარგებლო მომსახურების ვადა გადაისინჯება და საჭიროების შემთხვევაში იცვლება ბალანსის მომზადების თარიღისთვის.

3.3 არამატერიალური აქტივი

ბალანსზე რიცხული არამატერიალური აქტივი თავდაპირველად ფასდება გარიგების ფასით, ხოლო მომდევნო პერიოდებში აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით.

3.4 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები თავდაპირველად ფასდება გარიგების ფასით, მომდევნო პერიოდებში იზომება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. მოკლევადიანი მოთხოვნები, რომელთაც პროცენტი არ ერიცხება აღირიცხება

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები(გაგრძელება)

მისაღები ფულადი სახსრების არადისკონტირებული ღირებულებით. ამოუღებელი თანხების სავარაუდო ოდენობის შესაბამისი ანარიცხები აღიარდება მოგება-ზარალში მაშინ, თუ არსებობს აქტივის გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება. აღიარებული

ანარიცხები იზომება, როგორც სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და საწყისი აღიარებისას მიღებული სავარაუდო ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულებას შორის, როდესაც ეს უკანასკნელი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით არის დისკონტირებული.

3.5 სასაქონლო-მატერიალური მარაგები

სასაქონლო-მატერიალური მარაგების შეფასება ხდება მის თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი მეთოდის გამოყენებით. ნეტო სარეალიზაციო ღირებულება არის წმინდა თანხა, რომლის მიღებასაც საწარმო მოელის ჩვეულებრივი სამეურნეო საქმიანობის პროცესში მარაგის გაყიდვის შემდეგ.

3.6 იჯარა

იჯარა კლასიფიცირდება ფინანსურ იჯარად, თუ იგი ითვალისწინებს აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას საწარმოსათვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება ჩვეულებრივ (საოპერაციო) იჯარად. ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში. ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში საწარმოს მიერ მიღებული საიჯარო შემოსავალი აღიარდება მოგებაში ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

3.7 ფინანსური იჯარა

იჯარის ვადის დასაწყისისათვის კომპანია უფლებებს აქტივის გამოყენებაზე და ვალდებულებებს ფინანსურ იჯარაზე აღიარებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როგორც აქტივებს და ვალდებულებებს საიჯარო აქტივის რეალური ღირებულების ტოლი თანხით ან, თუ მასზე ნაკლებია, მინიმალური საიჯარო გადასახდელების დღევანდელი ღირებულებით, რომელიც განისაზღვრება იჯარის დასაწყისში. მოიჯარის ნებისმიერი თავდაპირველი პირდაპირი დანახარჯი (დამატებითი დანახარჯები, რომლებიც უშუალოდ არის დაკავშირებული საიჯარო გარიგების მოლაპარაკებასა და გაფორმებასთან) ემატება აქტივის სახით აღიარებულ თანხას.

ფინანსური იჯარა (გაგრძელება)

მინიმალური საიჯარო გადასახდელების დღევანდელი ღირებულების გასაანგარიშებელი დისკონტირების განაკვეთს წარმოადგენს საიჯარო ხელშეკრულებაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთი, თუ მისი დადგენა შესაძლებელია; თუ არა, გამოიყენება მოიჯარის ზღვრული სასესხო საპროცენტო განაკვეთი.

3.8 ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ინსტრუმენტი არის ნებისმიერი ხელშეკრულება, რომელიც წარმოშობს როგორც ერთი საწარმოს ფინანსურ აქტივს, ასევე მეორე საწარმოს ფინანსურ ვალდებულებას ან წილობრივ ინსტრუმენტს.

ფინანსური ინსტრუმენტების აღიარება, შეფასება და ჩამოწერა

ფინანსური აქტივი და ფინანსური ვალდებულება აღიარდება, მას შემდეგ, რაც კომპანია ხდება ფინანსური ინსტრუმენტის სახელშეკრულებო პირობების მონაწილე.

ძირითადი ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია

- ფულადი სახსრები;
- სავაჭრო მოთხოვნები და ვალდებულებები
- მოთხოვნამდე დეპოზიტები და ვადიანი დეპოზიტები;
- სესხებთან და ანგარიშებთან დაკავშირებული მოთხოვნები და ვალდებულებები;

თავდაპირველი შეფასება

როდესაც ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება პირველად აღიარდება კომპანია მას აფასებს გარიგების ფასით გარიგების დანახარჯების ჩათვლით, (ისეთი ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების გარდა, რომლებიც შემდგომში უნდა შეფასდეს რეალური ღირებულებით) თუ შეთანხმება თავისი არსით არ წარმოადგენს ფინანსურ ოპერაციას საწარმოსთვის ან მისი კონტრაგენტისთვის.

თუ შეთანხმება ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს საწარმომ ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება უნდა შეაფასოს მომავალი გადასახდელების დღევანდელი ღირებულებით. რომელიც დისკონტირებულია მსგავსი სავალდებულო ინსტრუმენტისთვის

ფინანსური ინსტრუმენტები(გაგრძელება)

გამოყენებული საბაზრო საპროცენტო განკვეთით და განისაზღვრება თავდაპირველი აღიარებისას.

შემდგომი შეფასება

შპს "ლეგომეტალის" ახსნა-განმარტებითი შენიშვნები 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს კომპანია სავალო ინსტრუმენტებს აფასებს ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით. ისეთი სავალო ინსტრუმენტები, რომლებიც კლასიფიცირებულია, როგორც მოკლევადიანი ვალდებულებები და მოკლევადიანი აქტივები ფასდება გადასახდელი ან მისაღები ფულადი სახსრების (სხვა სახის კომპენსაციის) არადისკონტირებული ღირებულებით. გარდა იმ შეთანხმებებისა, რომლებიც ფინანსურ ოპერაციებს წარმოადგენს

ფინანსური აქტივების გაუფასურება

საწარმო ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს განსაზღვრავს, არსებობს თუ არა რაიმე ობიექტური მტკიცებულება იმ ფინანსური აქტივის გაუფასურების, რომელიც შეფასებულია თვითღირებულებით ან ამორტიზებული ღირებულებით და ობიექტური მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში დაუყოვნებლივ აღიარებს მოგებაში ან ზარალში. მსგავსი მტკიცებულებებია, რომ დებიტორთან იწყება გაკოტრება, ხელშეკრულების პირობების დარღვევა, ან გადახდის პირობების შეცვლის მოთხოვნა, ასევე რეგიონის არახელაყრელი ეკონომიკური პირობები.

გაუფასურების ზარალის აღდგენა

თუ შემდგომ პერიოდებში აქტივის გაუფასურების ზარალის თანხა მცირდება, რაც დაკავშირებული იქნება გაუფასურების აღიარების შემდგომ წარმოშობილ მოვლენასთან, კომპანია აღადგენს გაუფასურების ზარალს.

ფინანსური აქტივის აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივების აღიარება წყდება, როდესაც ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი ნაკადების მიღების სახელშეკრულებო უფლებებს ვადა გასდის, ფულადი სახრები სრულად მიღებულია ან იგი გადასცემს ფინანსურ აქტივთან დაკავშირებულ რისკს და სარგებელს სხვა მხარეს.

ფინანსური ინსტრუმენტები(გაგრძელება)

ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტა

ფინანსური ვალდებულების აღიარება წყდება, როდესაც ის შესრულდება, ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულება დაიფარება, გაუქმდება ან ვადა გაუვა.

შპს "ლეგომეტალის" ახსნა-განმარტებითი შენიშვნები 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

კომპანია მოგებაში ან ზარალში ასახავს დაფარული ან სხვა მხარისთვის გადაცემული ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ კომპენსაციის თანხას შორის სხვაობას.

3.9 კაპიტალი

კომპანიის კაპიტალი ფორმირებულია აკუმულირებული მოგებით. დივიდენდი აღიარდება როგორც ვალდებულება იმ პერიოდში, რომელშიც გამოცხადდა.

3.10 ანარიცხები

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ანარიცხი აღიარდება მაშინ, როდესაც კომპანიას აქვს ვალდებულება იურიდიული ან კონსტრუქციული, რომელიც წარმოიქმნა წარსული მოვლენების შედეგად და სავარაუდოა, რომ ვალდებულების დასაფარად საჭირო იქნება ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების გასვლა. როცა ფულის დროითი ღირებულების ეფექტი მნიშვნელოვანია ანარიცხების თანხა უნდა წარმოადგენდეს იმ დანახარჯების დღევანდელ ღირებულებას, რომლებიც მოსალოდნელია, რომ საჭირო იქნება მოვალეობის შესასრულებად, დისკონტირების განაკვეთი უნდა წარმოადგენდეს დაბეგვრამდე არსებულ განაკვეთს, რომელშიც გათვალისწინებულია ფულის დროითი ღირებულების მიმდინარე საბაზრო შეფასებებისა და მოცემული ვალდებულებებისთვის დამახასიათებელი სპეციფიკური რისკი.

3.11 მოგების გადასახადი

მიმდინარე მოგების გადასახადი არის საგადასახადო ვალდებულება პერიოდის დასაბეგრ მოგებაზე, რომელიც გაანგარიშებულია ანგარიშგების თარიღისთვის არსებული საგადასახადო განაკვეთით და ითვალისწინებს წინა წლებთან დაკავშირებული საგადასახადო ვალდებულების ყველა შესაძლო შესწორებას.

2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოს საგადასახადო კოდექსში შევიდა მნიშვნელოვანი ცვლილებები. ეს ცვლილება შეეხო მოგების გადასახადის წარდგენას.

მოგების გადასახადი(გაგრძელება)

2017 წლის ახალი მოდელის მიხედვით მოგების გადასახადის განაკვეთი განისაზღვრავს ნულოვანი განაკვეთით, იმ შემთხვევაში თუ არ მოხდება მოგების განაწილება და დარჩება კომპანიაში გაუნაწილებელი მოგების სახით, ხოლო 15%-ით დაიბეგრება დივიდენდად განაწილებული მოგება, მაშინ როცა ძველი მოდელის მიხედვით კომპანიების მოგება იბეგრებოდა 15%-ით, მიუხედავად იმისა, ეს მოგება გაიცემოდა დივიდენდად თუ კომპანიაში რჩებოდა გაუნაწილებელი მოგების სახით. 2017 წლის 1 იანვრიდან კომპანიები იბეგრებიან

მოგების გადასახადით, თუ მოხდება მოგების განაწილება (დივიდენდის გაცემა) და ასევე, მოგების გადასახადით იბეგრება ისეთი ტრანზაქციები ინდივიდუალურ პირებთან, რომელიც დაკავშირებულია მოგების მიღებასთან (ბენეფიტი, საჩუქარი, გადასახადები, რომლებიც არაა ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული და სხვა) ამ შემთხვევაში მოგების განაწილება იბეგრება 15/85 პროპორციით.

აღნიშნული ცვლილების გამო არ წარმოიქმნება დროებითი სხვაობები აქტივებსა და ვალდებულებებში ფინანსური და საგადასახადო ბაზის საფუძველზე. შესაბამისად გადავადებული საგადასახადო აქტივი და ვალდებულება, მოგებიდან გადასახადები არ წარმოიქმნება კომპანიის რეგისტრაციის პერიოდში 2017 წლის 01 იანვრიდან.

3.12 ამონაგების აღიარება

ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. იგი არ მოიცავს გაცემულ ყველანაირ სავაჭრო ფასდათმობას, ასევე ვადაზე ადრე გადახდის ფასდათმობებს. ამონაგებში ჩართულია მხოლოდ საკუთარი სახელით მიღებული ან მისაღები ეკონომიკური სარგებლის მთლიანი თანხა.

მომსახურების გაწევის ამონაგები აღიარდება მომსახურების ხელშეკრულების შესრულების სტადიის მიხედვით საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, თუ შესაძლებელი იქნება მომსახურების გაწევის შედეგის საიმედოდ შეფასება. სხვა შემთხვევაში ამონაგები აღიარდება მხოლოდ უკვე აღიარებული ანაზღაურებადი ხარჯების ოდენობის ფარგლებში.

მომსახურების გაწევის ოპერაციის შედეგის საიმედოდ შეფასება შესაძლებელია, თუ დაკმაყოფილებულია შემდეგი პირობები:

- ამონაგების ოდენობის შეფასება შესაძლებელია საიმედოდ;
- მოცემული ოპერაციიდან მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა სალაროში;

•

ამონაგების აღიარება(გაგრძელება)

- შესაძლებელია მომსახურების მიწოდების ხელშეკრულების შესრულების სტადიის საიმედოდ შეფასება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს;
- შესაძლებელია მომსახურებაზე უკვე გაწეული და ხელშეკრულების მთლიანად შესასრულებლად საჭირო მომავალი დანახარჯების საიმედოდ შეფასება;

საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული ამონაგების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც დაკმაყოფილებული იქნება ქვემოთ ჩამოთვლილი ყველა პირობა:

- საწარმო მყიდველს გადასცემს საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს;
- საწარმო არ ინარჩუნებს უწყვეტ მენეჯერულ მონაწილეობას იმ დონით, რომელიც, ჩვეულებრივ, საკუთრების უფლებასთან ასოცირდება და არც გაყიდულ საქონელზე ეფექტურ კონტროლს არ ახორციელებს;
- შესაძლებელია ამონაგების თანხის საიმედოდ შეფასება;
- მოსალოდნელია, რომ საწარმო მიიღებს მოცემულ ოპერაციასთან დაკავშირებულ ეკონომიკურ სარგებელს;
- შესაძლებელია მოცემულ ოპერაციასთან დაკავშირებით უკვე გაწეული ან მომავალ პერიოდში გასაწევი დანახარჯების საიმედოდ შეფასება

3.13. ნაღდი ფული და მისი ექვივალენტები

ფულადი ნაკადების ანგარიშგების შედგენის მიზნებისათვის, ფულადი სახსრების ექვივალენტები არის მოკლევადიანი, მაღალ ლიკვიდური ინვესტიციები, რომლებიც დაუბრკოლებლად გადაიცვლება ნაღდი ფულის წინასწარ ცნობილ ოდენობაზე და მათი ღირებულების შეცვლის რისკი უმნიშვნელოა. ფულადი სახსრების ექვივალენტები უფრო მეტად გამიზნულია მოკლევადიან ვალდებულებათა შესასრულებლად, ვიდრე ინვესტიციებისათვის ან სხვა მიზნით. კომპანიის მიერ ინვესტიცია კლასიფიცირდება როგორც ფულადი სახსრების ექვივალენტი, თუ იგი ადვილად გაცვლადია წინასწარ ცნობილ ნაღდი ფულის ოდენობაზე და მისი ღირებულების შეცვლის რისკი უმნიშვნელოა.

2. ძირითადი საშუალებები

კომპანიის ძირითადი საშუალებების საბალანო ღირებულება 2020 წლის 31 დეკემბრისთვის შეადგენს, 211 414 ლარს, 2021 წლის 31 დეკემბრისთვის 290 412 ლარს, ძირითადი საშუალებები ბალანსში ასახულია ისტორიული ღირებულებით და შემცირებულია დაგროვილი ცვეთის ღირებულებით.

ცვეთის დარიცხვა ხდება ნარჩენი ღირებულებით შემცირებული აქტივების თვითღირებულების განაწილების მიზნით მათი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე, წრფივი მეთოდის გამოყენებით.

აღნიშნული ქონება დატვირთულია ოპოთეკით

შპს "ლეგომეტალის" ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

შპს "ლეგუმეტალის" ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

3. ინვესტიცია მეკავშირე საწარმოში

კომპანიამ 2020 წელს დაარეგისტრირა მეკავშირე საწარმო შპს „ლ კაპიტალი“ 49 % წილობრივი ფლობით და განახორციელა ინვესტირება. 2021 წელს კომპანიამ განახორციელა შპს „ლ კაპიტალის“ ფლობილი წილის სრულად რეალიზაცია.

	12.31.2021	12.31.2020
ინვესტიციები მეკავშირე საწარმოში	-	2,295,303
სულ	-	2,295,303

4. გაცემული სესხები

კომპანიას აქვს გაცემული გრძელვადიანი სესხი შპს „ბოლმეტალზე“, სესხს საპროცენტო სარგებელი არ ერიცხება და დაბრუნებას შპს „ბოლმეტალის“ რეაბილიტაციის გეგმის თანახმად ექვემდებარება

	12.31.2021	12.31.2020
გაცემული სესხი	1,827,584	41,660
სულ	1,827,584	41,660

5. სასაქონლო -მატერიალური მარაგები

კომპანია სასაქონლო-მატერიალურ მარაგებს აღრიცხავს პროგრამა საშუალო შეწონილი მეთოდის საფუძველზე. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში ასახული სასაქონლო-მატერიალური მარაგების ნაშთს წარმოადგენს ფერადი ლითონების ჯართს და მზა პროდუქტს

	12.31.2021	12.31.2020
სასაქონლო მარაგი	6,364,481	1,876,296
სულ	6,364,481	1,876,296

6. მოთხოვნები მომსახურებიდან

შპს "ლეგომეტალის" ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

დარიცხულ მოთხოვნებს წარმოადგენს ფერადი ლითონების ჯართის რეალიზაციიდან მისაღები თანხები

მოთხოვნა არის მოკლევადიანი და და ამოღების ვადა განსაზღვრება ერთ წლამდე, დარიცხულ და მისაღებ მოთხოვნებს პროცენტი არ ერიცხება. მოთხოვნები აღირიცხება აშშ დოლარში და გადაფასება ყოველი წლის ბოლოს კომპანიის მოთხოვნები შეფასებულ იქნა გაუფასურებაზე. დავალიანებები, რომელთა მიღება ვადაგადილებული და საექვო იყო მენეჯმენტმა ხარჯად აღიარა:

	12.31.2021	12.31.2020
დარიცხული მოთხოვნები	4,285,887	2,169,780
სულ	4,285,887	2,169,780

7. ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

კომპანიას ფულადი სახსრები აქვს როგორც ეროვნულ, ასევე უცხოურ ვალუტაში.

	12.31.2021	12.31.2020
ფულადი სახსრები ლარში	233,658	383,379
ფულადი სახსრები აშშ დოლარი	-	24,506
სულ	233,658	407,885

8. გაუნაწილებელი მოგება

კომპანიას აქვს გაუნაწილებელი მოგება, 2020-2021 წლებში დივიდენდის გაცემა არ განხორციელებულა:

	12.31.2021	12.31.2020
გაუნაწილებელი მოგება	7,532,547	1,580,166
სულ	7,532,547	1,580,166

შპს "ლეგომეტალის" ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

9. საწესდებო კაპიტალი

დამფუძნებლების მიერ კომპანიის კაპიტალში განხორციელებულია შენატანი როგორც ფულადი, ასევე ქონების სახით, ქონების ღირებულება შენატანის განხორციელების მიზნით განისაზღვრულია დამოუკიდებელი ექსპერტის მიერ:

	12.31.2021	12.31.2020
კომპანიის კაპიტალი	2,457,852	4,457,852
სულ	2,457,852	4,457,852

10. სასესხო ვალდებულებები

კომპანიას აქვს შპს „ბოლმეტალისგან“ მიღებული მოკლევადიანი სესხი აშშ დოლარში, არაუზრუნველყოფილი, საპროცენტო განაკვეთი ვვვ

	12.31.2021	12.31.2020
მიღებული სესხები	1,101,002	-
სულ	1,101,002	-

11. ვალდებულებები მიწოდებიდან და მომსახურებიდან

კომპანიის ვალდებულებები მიწოდებიდან და მომსახურებიდან არის მოკლევადიანი და პროცენტი არ ერიცხება.

	12.31.2021	12.31.2020
ვალდებულებები მიწოდებიდან/მომსახურებიდან	1,705,281	868,030
სულ	1,705,281	868,030

12. საგადასახადო ვალდებულება

შპს "ლეგომეტალის" ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	12.31.2021	12.31.2020
საგადასახადო ვალდებულება	101,648	94,697
სულ	101,648	94,697

13. მიღებული ავანსები

	12.31.2021	12.31.2020
მიღებული ავანსები	109,967	27,489
სულ	109,967	27,489

14. საქონლის რეალიზაციით მიღებული შემოსავალი

	2,021	2,020
სპილენძის ჯართი	68,700,098	17,479,443
ალუმინის სხმული	19,310,640	4,726,445
თითბერის ჯართი	16,098,867	2,777,782
ალუმინის ჯართი	5,843,972	964,136
უჟანგავის ჯართი	5,838,952	1,023,752
ალუმინის შენადნობი	5,724,677	-
კათოდი	720,684	-
თუთიის ჯართი	720,607	351,557
აკუმულატორის ჯართი	198,005	-
ტყვიის ჯართი	14,200	-
სხვა საქონელი	7,162	-
სულ	123,177,862	27,323,115

15. რელიზებული პროდუქციის თვითღირებულება

შპს "ლეგომეტალის" ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	2,021	2,020
პროდუქციის თვითღირებულება	108,125,781	24,375,471
შრომის ანაზღაურება	1,002,937	234,856
კომუნალური ხარჯი	492,847	84,748
სატრანსპორტო ხარჯი	381,186	49,680
საწარმოო ხარჯები	217,878	69,410
საწვავის ხარჯი	202,937	37,490
საიჯარო ხარჯი	142,878	39,321
სხვა ხარჯი	33,443	-
ცვეთის ხარჯი	30,903	-
სოციალური ანარიცხი	17,315	4,659
სულ საწარმოო ხარჯი	110,648,105	24,895,634

16. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი

	2,021	2,020
შრომის ანაზღაურება	788,710	210,825
საიჯარო ხარჯი	74,859	8,676
საწვავის ხარჯი	31,036	7,322
საკონსულტაციო ხარჯები	24,875	3,000
სხვა ხარჯი	21,316	6,953
სოციალური ანარიცხი	15,131	4,450
ცვეთის ხარჯი	3,120	-
სულ ადმინისტრაციული ხარჯი	959,048	241,227

17. საფინანსო ხარჯი

კომპანიის საფინანსო ხარჯი ფორმირებულია შპს "ბოლმეტალისგან" მიღებული სესხზე დარიცხული პროცენტის სახით:

	2,021	2,020
საფინანსო ხარჯი	49,312	-
სულ	49,312	-

18. არასაოპერაციო შემოსავლები

შპს "ლეგომეტალის" ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	2,021	2,020
შემოსავალი საკურსო სხვაობიდან	108,556	103,375
ინვეტარიზაციის ზედმეტობა	-	20,700
საშემოსავლო გადასახდის სუბსიდირება	14,259	9,053
მეკავშირე საწარმოს რეალიზაცია	65,000	-
სულ	187,815	133,128

19. არასაოპერაციო ხარჯები

	2,021	2,020
ინვესტიცია მეკავშირე საწარმოში	2,295,303	-
წიდას გაუფასურების ზარალი	2,831,910	697,225
ზარალი საკურსო სხვაობიდან	654,006	39,351
დარიცხული საურავი	34,528	2,640
სულ	5,815,748	739,216

20. მნიშვნელოვანი ბუღალტრული მსჯელობები და დაშვებები

დაშვებები და მსჯელობები ეფუძნება კომპანიის ისტორიულ გამოცდილებას, ასევე გაითვალისწინება მომავალ მოვლენებთან დაკავშირებული მოლოდინები, ასეთი დაშვებები და მსჯელობები პერიოდულად გადაიხედება, არსებულ სიტუაციასთან შესაბამისობის მიზნით.

a. მნიშვნელოვანი ბუღალტრული შეფასებები

ხელმძღვანელობა შეფასებებს აკეთებს სამომავლო ფაქტორების გათვალისწინებით, მიღებული სააღრიცხვო შეფასებები შესაძლოა განსხვავდებოდეს რეალური შედეგისგან.

მნიშვნელოვანი ბუღალტრული მსჯელობები და დაშვებები (გაგრელება)

შეფასებები და შესაბამისი დაშვებები ფასდება რეგულარულად. ბუღალტრული შეფასებების შესწორება აღიარებას ექვემდებარება იმ პერიოდისათვის, როდესაც ხდება შესწორება, თუ შესწორება ეხება მხოლოდ ამ პერიოდს, ხოლო იმ შემთხვევაში თუ იგი ეხება მიმდინარე და მომავალ პერიოდებს, შესაბამისად შესწორება მოხდება მიმდინარე და შემდგომ პერიოდებში.

შეფასებები და დაშვებები, რომლებიც შეიცავს მნიშვნელოვან რისკს, განხილულია ქვემოთ:

ძირითადი საშუალებების საციცოცხლო ვადა

მენეჯმენტმა შეაფასა ძირითადი საშუალებების სასიცოცხლო ვადა და დარწმუნებულია, რომ იგი არ განსხვავდება ამ აქტივების ეკონომიკური მომსახურების ვადის

შპს "ლეგომეტალის" ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ხანგრძლივობისგან. თუ რეალური სასარგებლო მომსახურების ვადა განსხვავდება ამ შეფასებებისგან, ფინანსური ანგარიშგება განსხვავებული იქნება.

უიმედო ვალი

ხელმძღვანელობა აფასებს მისაღები დებიტორული დავალიანებების დონეს ისტორიულ გამოცდილებასა და სამომავლო მოლოდინებზე დაყრდნობით. დავალიანების ამოღების რეალური ვადა შესაძლოა განსხვავდებოდეს ხელმძღვანელობის შეფასებებისგან.

საგადასახადო კანონმდებლობა

მოქმედი საკანონმდებლო ბაზა იძლევა კანონის ორაზროვანი ინტერპრეტაციის საშუალებას, შესაძლოა საგადასახადო ორგანოების მოსაზრება განსხვავდებოდეს მენეჯმენტის მოსაზრებისგან, მენეჯმენტი დარწმუნებულია, რომ კომპანიის მიერ განხორციელებული საგადასახადო დაბეგვრა სრულ შესაბამისობაშია საგადასახადო კანონმდებლობასთან და კომპანიას არ გააჩნია რაიმე სახის საგადასახადო რისკი.

ძირითადი დაშვებები მომავალთან დაკავშირებით

მენეჯმენტი დარწმუნებულია, რომ კომპანიის საქმიანობის შედეგები წარსული გამოცდილების და მიმდინარე მოვლენებისა და გარემოებების გათვალისწინებით კვლავ ზრდას განაგრძობს და აღნიშნული ფინანსური მდგრალობის ზრდა შენარჩუნდება კომპანიის ძირითადი საქმიანობის ხარისხის ზრდასა და განვითარებასთან ერთად.

მსოფლიო პანდემიის გავლენები მასშტაბურია, და ბუნებრივია გავლენა იქონია კომპანიის საქმიანობაზეც, მენეჯმენტი როგორც არსებულ გამოცდილებაზე დაყრდნობით, ასევე სამომავლო პროექტების გათვალისწინებით დარწმუნებულია, რომ შეინარჩუნებს არსებულ პოზიციებს და საქმიანობას წარმატებით განაგრძობს მომავალშიც. შესაბამისად წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მოქმედი საწარმოს საფუძველზე.

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2022 წლის 27 სექტემბერს.

დირექტორი: თემურ ბოლქვაძე

ბუღალტერი: თინათინ ნონიკაშვილი

27 სექტემბერი 2022 წელი




შპს "ლეგომეტალის" ფინანსური ანგარიშგება
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
თანხა წარმოდგენილია ლარში

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება		12/31/2021	12/31/2020
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	4	290,412	211,414
ინვესტიცია მეკავშირე საწარმოში		-	2,295,303
გაცემული სესხები	5	1,827,584	41,660
<u>სულ გრძელვადიანი აქტივები</u>		<u>2,117,996</u>	<u>2,548,377</u>
სასაქონლო მატერიალური მარაგები	6	6,364,481	1,876,296
საგადასახადო აქტივი	7		
გადახდილი ავანსები	8	6,273	25,896
მოთხოვნები მომსახურებიდან	9	4,285,887	2,169,780
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	10	233,658	407,885
<u>სულ მიმდინარე აქტივები</u>		<u>10,890,300</u>	<u>4,479,857</u>
<u>სულ აქტივები</u>		<u>13,008,296</u>	<u>7,028,234</u>
გაუნაწილებელი მოგება	11	7,532,547	1,580,166
საწესებო კაპიტალი	12	2,457,852	4,457,852
<u>სულ კაპიტალი</u>		<u>9,990,399</u>	<u>6,038,018</u>
მიმდინარე ვალდებულებები			
სასესხო ვალდებულებები	13	1,101,002	-
ვალდებულებები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	14	1,705,281	868,030
საგადასახადო ვალდებულებები	16	101,648	94,697
მიღებული ავანსები		109,967	27,489
<u>სულ მიმდინარე ვალდებულებები</u>		<u>3,017,897</u>	<u>990,216</u>
<u>სულ კაპიტალი და ვალდებულებები</u>		<u>13,008,296</u>	<u>7,028,234</u>

დირექტორი: თემურ ბოლქვაძე
თარიღი: 12 ნოემბერი 2022 წელი
შპს "ლეგომეტალის" ფინანსური ანგარიშგება

ბუღალტერი: თინათინ ნონიკაშვილი





2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
თანხა წარმოდგენილია ლარში

სრული შემოსავლის ანგარიშგება		2,021	2,020
საქონლის რეალიზაციით მიღებული შემოსავალი	17	123,177,862	27,323,115
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	18	(110,648,105)	(24,895,634)
<u>საერთო მოგება</u>		<u>12,529,757</u>	<u>2,427,481</u>
სხვა შემოსავლები		58,919	-
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	19	(959,048)	(241,227)
<u>საოპერაციო მოგება</u>		<u>11,629,628</u>	<u>2,186,254</u>
საფინანსო შემოსავალი			-
საფინანსო ხარჯი	20	(49,312)	-
სხვა არასაოპერაციო შემოსავლები	21	187,815	133,128
სხვა არასაოპერაციო ხარჯები	22	(5,815,750)	(739,216)
<u>მოგება დაბეგვრამდე</u>		<u>5,952,381</u>	<u>1,580,166</u>
მოგების გადასახადი		-	-
<u>წმინდა მოგება</u>		<u>5,952,381</u>	<u>1,580,166</u>

დირექტორი: თემურ ბოლქვაძე

თარიღი: 12 ნოემბერი 2022 წელი

ბუღალტერი: თინათინ
ნონიკაშვილი

შპს "ლეგომეტალის" ფინანსური ანგარიშგება
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
შპს "ლეგომეტალის" ფინანსური ანგარიშგება




2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
თანხა წარმოდგენილია ლარში

კაპიტალში ცვლილებების შესახებ ანგარიშგება	საწესდებო კაპიტალი	მოგება	გაცემული დივიდენდი	სულ
<u>ნაშთი საანგარიშო პერიოდის</u> <u>31.12.2019</u>	_____ -	_____ -	_____ -	_____ -
საწარმოს კაპიტალის გაზრდა ფულადი სახსრებით				-
საწარმოს კაპიტალის გაზრდა ქონებრივი შენატანით	4,457,852			4,457,852
მოცემული პერიოდის მოგება		1,580,166	-	1,580,166
<u>ნაშთი საანგარიშო პერიოდის</u> <u>31.12.2020</u>	<u>4,457,852</u>	<u>1,580,166</u>	<u>-</u>	<u>6,038,018</u>

დირექტორი: თემურ ბოლქვაძე

ბუღალტერი: თინათინ ნონიკაშვილი

თარიღი: 12 ნოემბერი 2022 წელი



შპს "ლეგომეტალის" ფინანსური ანგარიშგება
 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 თანხა წარმოდგენილია ლარში

კაპიტალში ცვლილებების შესახებ ანგარიშგება	საწესდებო კაპიტალი	მოგება	გაცემული დივიდენდი	სულ
<u>ნაშთი საანგარიშო პერიოდის 31.12.2020</u>	<u>4,457,852</u>	<u>1,580,166</u>	<u>-</u>	<u>6,038,018</u>
კაპიტალის გაზრდა/შემცირება ფულადი სახსრებით	(2,000,000)	-	-	(2,000,000)
კაპიტალის გაზრდა/შემცირება ქონებრივი შენატანით				-
მოცემული პერიოდის მოგება		5,952,381	-	5,952,381
<u>ნაშთი საანგარიშო პერიოდის 31.12.2021</u>	<u>2,457,852</u>	<u>7,532,547</u>	<u>-</u>	<u>9,990,399</u>


დირექტორი: თემურ ბოლქვაძე

ბუღალტერი: თინათინ ნონიკაშვილი

თარიღი: 12 ნოემბერი 2022 წელი

თ. ნონიკაშვილი

თემურ ბოლქვაძე



შპს "ლეგომეტალის" ფინანსური ანგარიშგება
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
თანხა წარმოდგენილია ლარში

ფულადი ნაკადების ანგარიშგება	2,021	2,020
მყიდველებიდან მიღებული თანხები	120,702,585	25,210,262
მომწოდებელზე გადახდილი თანხები	(114,808,356)	(26,181,382)
შრომის ანაზღაურება	(1,407,750)	(349,693)
საპენსიო ანარიცხი	(37,000)	(16,000)
გადახდილი გადასახადები	(1,817,997)	(206,679)
<u>წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან</u>	<u>2,631,482</u>	<u>(1,543,493)</u>
<u>ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან</u>		
ინვესტიციის რეალიზაციის თანხები	65,000	-
ძირითადი საშუალების შეძენის თანხები	(111,445)	(31,484)
<u>წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან</u>	<u>(46,445)</u>	<u>(31,484)</u>
<u>წმინდა ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან</u>		
კაპიტალის მიღება	5,800,000	4,172,155
კაპიტალის დაბრუნება	(7,800,000)	(2,172,155)
სესხის გაცემა	(1,785,924)	(41,660)
სესხის მიღება	1,602,000	
სესხის დაბრუნება	(512,796)	
გაცემული %	(49,311)	
<u>წმინდა ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან</u>	<u>(2,746,032)</u>	<u>1,958,340</u>
საკუროს სხვაობის გავლენა	(13,233)	24,521
<u>ფულის სახსრები და მათი ექვივალენტები პერიოდის დასაწყისში</u>	<u>407,885</u>	<u>-</u>
<u>ფულის სახსრები და მათი ექვივალენტები პერიოდის ბოლოს</u>	<u>233,658</u>	<u>407,885</u>

დირექტორი: თემურ ბოლქვაძე

თარიღი: 12 ნოემბერი 2022 წელი

ბუღალტერი: თინათინ
ნონიკაშვილი

